# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №1
2019 წლის 22 იანვარი

ქ. ვანი

**„ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა” ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №125 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, 31.12.2018 წელი, 010250050.35.121.016353) შეტანილი იქნეს ცვლილება და ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი

დანართი №1

# ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

**მუხლი 1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 11,817.8 | 5,186.6 | 6,631.2 | 13,990.1 | 6,891.9 | 7,098.2 | 9,650.4 | 2,495.4 | 7,155.0 |
| გადასახადები | 927.4 | 0.0 | 927.4 | 654.7 | 0.0 | 654.7 | 6,681.8 | 0.0 | 6,681.8 |
| გრანტები | 10,407.5 | 5,186.6 | 5,220.9 | 12,821.2 | 6,891.9 | 5,929.3 | 2,495.4 | 2,495.4 | 0.0 |
| სხვა შემოსავლები | 482.9 | 0.0 | 482.9 | 514.2 | 0.0 | 514.2 | 473.2 | 0.0 | 473.2 |
| ხარჯები | 5,779.3 | 558.5 | 5,220.8 | 6,350.6 | 372.1 | 5,978.5 | 6,743.2 | 299.4 | 6,443.8 |
| შრომის ანაზღაურება | 1,432.3 | 57.8 | 1,374.5 | 1,726.0 | 56.5 | 1,669.5 | 1,844.0 | 67.0 | 1,777.0 |
| საქონელი და მომსახურება | 1,248.0 | 431.5 | 816.5 | 871.7 | 130.5 | 741.2 | 851.1 | 42.6 | 808.5 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროცენტი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 52.5 | 0.0 | 52.5 | 49.0 | 0.0 | 49.0 |
| სუბსიდიები | 2,380.9 | 65.0 | 2,315.9 | 2,771.7 | 65.0 | 2,706.7 | 3,117.7 | 65.0 | 3,052.7 |
| გრანტები | 5.3 | 0.0 | 5.3 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.6 | 0.0 | 0.6 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 608.2 | 4.2 | 604.0 | 614.1 | 0.0 | 614.1 | 615.0 | 0.0 | 615.0 |
| სხვა ხარჯები | 104.6 | 0.0 | 104.6 | 314.1 | 120.1 | 194.0 | 265.8 | 124.8 | 141.0 |
| საოპერაციო სალდო | 6,038.5 | 4,628.1 | 1,410.4 | 7,639.5 | 6,519.8 | 1,119.7 | 2,907.2 | 2,196.0 | 711.2 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 5,269.3 | 3,813.2 | 1,456.1 | 6,880.2 | 6,034.4 | 845.8 | 6,523.9 | 5,319.4 | 1,204.5 |
| ზრდა | 5,374.8 | 3,813.2 | 1,561.6 | 6,987.4 | 6,034.4 | 953.0 | 6,623.9 | 5,319.4 | 1,304.5 |
| კლება | 105.5 | 0.0 | 105.5 | 107.2 | 0.0 | 107.2 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| მთლიანი სალდო | 769.2 | 814.9 | -45.7 | 759.3 | 485.4 | 273.9 | -3,616.7 | -3,123.4 | -493.3 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 730.8 | 811.1 | -80.3 | 759.3 | 485.4 | 273.9 | -3,616.7 | -3,123.4 | -493.3 |
| ზრდა | 811.1 | 811.1 | 0.0 | 759.3 | 485.4 | 273.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 811.1 | 811.1 | | 759.3 | 485.4 | 273.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 80.3 | 0.0 | 80.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3,616.7 | 3,123.4 | 493.3 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 80.3 | | 80.3 | 0.0 | | | 3,616.7 | 3,123.4 | 493.3 |
| ვალდებულებების ცვლილება | -38.4 | -3.8 | -34.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 38.4 | 3.8 | 34.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 38.4 | 3.8 | 34.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 2. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| | 2017 წლის ფაქტი | | 2018 წლის ფაქტი | | 2019 წლის გეგმა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მათ შორის | | მათ შორის | | მათ შორის |

| დასახელება | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსულობები | 11,923.3 | 5,186.6 | 6,736.7 | 14,097.3 | 6,891.9 | 7,205.4 | 9,750.4 | 2,495.4 | 7,255.0 |
| შემოსავლები | 11,817.8 | 5,186.6 | 6,631.2 | 13,990.1 | 6,891.9 | 7,098.2 | 9,650.4 | 2,495.4 | 7,155.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 105.5 | 0.0 | 105.5 | 107.2 | 0.0 | 107.2 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| გადასახდელები | 11,192.5 | 4,375.5 | 6,817.0 | 13,338.0 | 6,406.5 | 6,931.5 | 13,367.1 | 5,618.8 | 7,748.3 |
| ხარჯები | 5,779.3 | 558.5 | 5,220.8 | 6,350.6 | 372.1 | 5,978.5 | 6,743.2 | 299.4 | 6,443.8 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,374.8 | 3,813.2 | 1,561.6 | 6,987.4 | 6,034.4 | 953.0 | 6,623.9 | 5,319.4 | 1,304.5 |
| ვალდებულებების კლება | 38.4 | 3.8 | 34.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ნაშთის ცვლილება | 730.8 | 811.1 | -80.3 | 759.3 | 485.4 | 273.9 | -3,616.7 | -3,123.4 | -493.3 |

**მუხლი 3. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9650,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 11,817.8 | 5,186.6 | 6,631.2 | 13,990.1 | 6,891.9 | 7,098.2 | 9,650.4 | 2,495.4 | 7,155.0 |
| გადასახადები | 927.4 | 0.0 | 927.4 | 654.7 | 0.0 | 654.7 | 6,681.8 | 0.0 | 6,681.8 |
| გრანტები | 10,407.5 | 5,186.6 | 5,220.9 | 12,821.2 | 6,891.9 | 5,929.3 | 2,495.4 | 2,495.4 | 0.0 |
| სხვა შემოსავლები | 482.9 | 0.0 | 482.9 | 514.2 | 0.0 | 514.2 | 473.2 | 0.0 | 473.2 |

**მუხლი 4. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 6681,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| გადასახადები | 927.4 | 654.7 | 6681.8 |
| საშემოსავლო გადასახადი | 663.8 | 341.9 | 0.0 |
| ქონების გადასახადი | 263.6 | 312.8 | 300.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 165.7 | 211.0 | 225.0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1.6 | 2.8 | 0.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1.6 | 2.8 | 0.0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 62.1 | 71.5 | 50.0 |
| ფიზიკური პირებიდან | 46.0 | 55.7 | 40.0 |
| იურიდიული პირებიდან | 16.1 | 15.8 | 10.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 34.2 | 27.5 | 25.0 |
| ფიზიკური პირებიდან | 10.4 | 6.7 | 5.0 |
| იურიდიული პირებიდან | 23.8 | 20.8 | 20.0 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 0.0 | 0.0 | 6381.8 |

## მუხლი 5. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2495,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 10407.5 | 5186.6 | 5220.9 | 12821.2 | 6891.9 | 5929.3 | 2495.4 | 2495.4 | 0.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 10407.5 | 5186.6 | 5220.9 | 12821.2 | 6891.9 | 5929.3 | 2495.4 | 2495.4 | 0.0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 5,364.8 | 143.9 | 5,220.9 | 6,074.3 | 145.0 | 5,929.3 | 145.0 | 145.0 | 0.0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 5,220.9 | 0.0 | 5,220.9 | 5,929.3 | 0.0 | 5,929.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 143.9 | 143.9 | 0.0 | 145.0 | 145.0 | 0.0 | 145.0 | 145.0 | 0.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 5,042.7 | 5,042.7 | 0.0 | 6,746.9 | 6,746.9 | 0.0 | 2,350.4 | 2,350.4 | 0.0 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 5,042.7 | 5,042.7 | 0.0 | 6,746.9 | 6,746.9 | 0.0 | 2,350.4 | 2,350.4 | 0.0 |

## მუხლი 6. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 473,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | 482.9 | 514.2 | 473.2 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **162.9** | **341.7** | **363.2** |
| **პროცენტები** | **20.3** | **28.4** | **25.0** |
| **რენტა** | **142.6** | **313.3** | **338.2** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 140.0 | 309.1 | 328.2 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან | 2.6 | 4.2 | 10.0 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **49.1** | **44.5** | **40.0** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **34.8** | **30.9** | **30.0** |
| სანებართვო მოსაკრებელი | 6.1 | 2.5 | 5.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.8 | 0.0 | 0.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 27.9 | 28.4 | 25.0 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **14.3** | **13.6** | **10.0** |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14.3 | 13.6 | 10.0 |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **48.7** | **49.3** | **50.0** |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **222.2** | **78.7** | **20.0** |

## მუხლი 7. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6743,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | **5779.3** | **558.5** | **5220.8** | **6350.6** | **372.1** | **5978.5** | **6743.2** | **299.4** | **6443.8** |
| **შრომის ანაზღაურება** | **1432.3** | **57.8** | **1374.5** | **1726.0** | **56.5** | **1669.5** | **1844.0** | **67.0** | **1777.0** |
| **საქონელი და მომსახურება** | **1248.0** | **431.5** | **816.5** | **871.7** | **130.5** | **741.2** | **851.1** | **42.6** | **808.5** |
| **პროცენტი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **52.5** | **0.0** | **52.5** | **49.0** | **0.0** | **49.0** |
| **სუბსიდიები** | **2380.9** | **65.0** | **2315.9** | **2771.7** | **65.0** | **2706.7** | **3117.7** | **65.0** | **3052.7** |
| **გრანტები** | **5.3** | **0.0** | **5.3** | **0.5** | **0.0** | **0.5** | **0.6** | **0.0** | **0.6** |
| **სოციალური უზრუნველყოფა** | **608.2** | **4.2** | **604.0** | **614.1** | **0.0** | **614.1** | **615.0** | **0.0** | **615.0** |
| **სხვა ხარჯები** | **104.6** | **0.0** | **104.6** | **314.1** | **120.1** | **194.0** | **265.8** | **124.8** | **141.0** |

## მუხლი 8. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6523,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 5,269.3 | 3,813.2 | 1,456.1 | 6,880.2 | 6,034.4 | 845.8 | 6,523.9 | 5,319.4 | 1,204.5 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,374.8 | 3,813.2 | 1,561.6 | 6,987.4 | 6,034.4 | 953.0 | 6,623.9 | 5,319.4 | 1,304.5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 105.5 | 0.0 | 105.5 | 107.2 | 0.0 | 107.2 | 100.0 | 0.0 | 100.0 |

## მუხლი 9. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფ.კ. | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2,040.0 | 0.0 | 2,040.0 | 2,427.2 | 0.0 | 2,427.2 | 2,593.0 | 0.0 | 2,593.0 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2,040.0 | 0.0 | 2,040.0 | 2,427.2 | 0.0 | 2,427.2 | 2,593.0 | 0.0 | 2,593.0 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2,036.9 | 0.0 | 2,036.9 | 2,427.2 | 0.0 | 2,427.2 | 2,493.0 | 0.0 | 2,493.0 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 3.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 702 | თავდაცვა | 77.7 | 77.7 | 0.0 | 83.0 | 79.5 | 3.5 | 99.0 | 80.0 | 19.0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 4,201.2 | 3,124.4 | 1,076.8 | 6,394.0 | 5,570.0 | 824.0 | 6,099.1 | 5,062.3 | 1,036.8 |
| 7045 | ტრანსპორტი | 4,201.2 | 3,124.4 | 1,076.8 | 6,368.3 | 5,570.0 | 798.3 | 6,024.1 | 5,062.3 | 961.8 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 4,201.2 | 3,124.4 | 1,076.8 | 6,368.3 | 5,570.0 | 798.3 | 6,024.1 | 5,062.3 | 961.8 |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.7 | 0.0 | 25.7 | 75.0 | 0.0 | 75.0 |
| 70473 | ტურიზმი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.7 | 0.0 | 25.7 | 75.0 | 0.0 | 75.0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 669.5 | 243.8 | 425.7 | 558.7 | 156.0 | 402.7 | 601.4 | 176.4 | 425.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 425.7 | 0.0 | 425.7 | 402.7 | 0.0 | 402.7 | 425.0 | 0.0 | 425.0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 243.8 | 243.8 | 0.0 | 156.0 | 156.0 | 0.0 | 176.4 | 176.4 | 0.0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 456.4 | 223.5 | 232.9 | 359.5 | 191.2 | 168.3 | 334.3 | 114.0 | 220.3 |
| 7063 | წყალმომარაგება | 14.1 | 0.0 | 14.1 | 2.5 | 0.0 | 2.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7064 | გარე განათება | 136.6 | 0.0 | 136.6 | 128.3 | 0.0 | 128.3 | 138.6 | 0.0 | 138.6 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 305.7 | 223.5 | 82.2 | 228.7 | 191.2 | 37.5 | 195.7 | 114.0 | 81.7 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 65.5 | 65.0 | 0.5 | 190.4 | 183.3 | 7.1 | 100.5 | 65.0 | 35.5 |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 0.5 | 0.0 | 0.5 | 125.4 | 118.3 | 7.1 | 31.5 | 0.0 | 31.5 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | 0.5 | 0.0 | 0.5 | 125.4 | 118.3 | 7.1 | 31.5 | 0.0 | 31.5 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 65.0 | 65.0 | 0.0 | 65.0 | 65.0 | 0.0 | 69.0 | 65.0 | 4.0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1,190.7 | 54.5 | 1,136.2 | 1,278.3 | 0.0 | 1,278.3 | 1,395.0 | 0.0 | 1,395.0 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 425.5 | 0.0 | 425.5 | 548.4 | 0.0 | 548.4 | 536.7 | 0.0 | 536.7 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 715.2 | 54.5 | 660.7 | 679.9 | 0.0 | 679.9 | 778.3 | 0.0 | 778.3 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 50.0 | 0.0 | 50.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| 709 | განათლება | 1,788.4 | 581.8 | 1,206.6 | 1,241.8 | 106.5 | 1,135.3 | 1,385.2 | 34.5 | 1,350.7 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1,788.4 | 581.8 | 1,206.6 | 1,241.8 | 106.5 | 1,135.3 | 1,385.2 | 34.5 | 1,350.7 |
| 710 | სოციალური დაცვა | 698.5 | 1.0 | 697.5 | 805.1 | 120.0 | 685.1 | 759.6 | 86.6 | 673.0 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 351.7 | 0.0 | 351.7 | 354.8 | 0.0 | 354.8 | 365.0 | 0.0 | 365.0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 284.6 | 0.0 | 284.6 | 282.9 | 0.0 | 282.9 | 291.0 | 0.0 | 291.0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 67.1 | 0.0 | 67.1 | 71.9 | 0.0 | 71.9 | 74.0 | 0.0 | 74.0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 9.0 | 0.0 | 9.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 10.6 | 0.0 | 10.6 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 113.4 | 0.0 | 113.4 | 106.0 | 0.0 | 106.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 21.4 | 0.0 | 21.4 | 175.8 | 120.0 | 55.8 | 159.6 | 86.6 | 73.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 192.4 | 1.0 | 191.4 | 143.5 | 0.0 | 143.5 | 93.0 | 0.0 | 93.0 |
| | სულ | 11,187.9 | 4,371.7 | 6,816.2 | 13,338.0 | 6,406.5 | 6,931.5 | 13,367.1 | 5,618.8 | 7,748.3 |

**მუხლი 10. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**
განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -3616,7 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**
განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -3616,7 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**
განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 13. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**
ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**
დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 145.0 ათასი ლარი მიიმართოს: ა) ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად 65.0 ათასი ლარი. ბ) ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებათა განსახორციელებლად 80.0 ათასი ლარი.

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**
მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორცილდეს საქართველოს კანონმდებლობისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 16. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**
განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე დონე) შემდეგი რედაქციით:

**1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და იგი ვანის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. აქედან გამომდინარე, 2019 წლის განმავლობაში გაგრძელდება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა შენახვა, სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათებისა და წყლის სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია, ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა.

1.2 გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების, სტანდარტებით

გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს. 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება გაეწევა და საპროექტო ზედამხედველობა განხორციელდება რეგიონული პროექტების ფონდიდან შესასრულებელი სამუშაოების – ზედავანი-გადიდის, ამაღლება-საპრასიის, ბზვანის, სულორის, ქ. ვანში ჩუგნაძის, სოლომონ მეორის ქუჩის მეორე შესახვევის, თავისუფლების ქუჩის მე-3-4-5-6 ჩიხების საავტომობილო გზების რეაბილიტაციას. დასრულდება შუაგორასა და ფერეთას შიოსდასაუბნო გზების რეაბილიტაცია, ასევე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები.

### 1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლითაც გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სანიტარული და ჰიგიენური პირობები. დაფინანსდება სანიაღვრე საწრეტი არხების, გარე განათების ქსელის და წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები.

#### 1.2.1 სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში დასრულდება 2017 წლის 27 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №2712 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოთ გამოყოფილი თანხებიდან შესასრულებელი სამუშაოები.

#### 1.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული და ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა. სანიტარიული წესრიგის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

#### 1.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

#### 1.2.4 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

გარე განათება წარმოადგენს ღამის პერიოდში საზოგადოების კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების აუცილებელ პირობას. გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირების მიზნით დაფინანსდება ქსელში მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურება. ახალი სანათები დამონტაჟდება შუამთისა და ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

### 1.3 ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში დასრულდება ქალაქ ვანში სკვერების რეაბილიტაციის სამუშაოები, მთისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული სკვერის შემორაგვა. მომზადდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №2367 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით განხორციელდება სულორსა და ქალაქ ვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები.

### 1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

### 1.5 სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 03 05)

## 2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, არსებული შენობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

2.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ – ვანის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსებას. გაერთიანება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების სტანდარტების და განათლების სფეროს ნორმატიული აქტების შესაბამისად. გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისთვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 700-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტი მთლიანად აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

2.2 სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02)

საბავშვო ბაღების გამართულად და სათანადო დონეზე ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტი აგრძელებს საბავშვო ბაღების მშენებლობას და რეაბილიტაციას. 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით მოხდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შესასრულებელი სამუშაოების – ქალაქ ვანის ნომერ მეორე და მთისძირის საბავშვო ბაღების პროექტირება, თანადაფინანსება და სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება. დასრულდება შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპის სამუშაოები.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და სპორტის დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, კულტურისა და სპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და გაუმჯობესებას. გაგრძელდება ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა.

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სარაგბო კლუბ „ვანის აიეტის", სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების, სპორტული ღონისძიებების, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის დაფინანსება.

3.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდება ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ჭიდაობასა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონისძიებები.

3.1.3 საფეხბურთო კლუბი „სულორი ვანი" (პროგრამული კოდი 05 01 03)

3.1.4 სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

პროგრამის ფარგლებში დასრულდება შუაგორისა და დიხაშხოს მინისტადიონების რეაბილიტაცია. მომზადდება საპროექტო დოკუმენტაცია ცენტრალური სტადიონისა და ჭადრაკის სახლის

რეაბილიტაციის მიზნით.

### 3.1.5 სარაგბო კლუბი ვანის აიეტი (პროგრამული კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამა გულისხმობს სარაგბო კლუბ „ვანის აიეტის" რაგბის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას. კლუბის მიზანია იზრუნოს რაგბის, როგორც მნიშვნელოვანი სპორტული ფენომენის პოპულარიზაციისათვის.

### 3.1.6 სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ – ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსებას. გაერთიანებაში ფუნქციონირებს ფეხბურთის, ჭიდაობის, ძიუდოს, სამბოს, მძლეოსნობის, რაგბის, კალათბურთის, ჭადრაკის და საბრძოლო ხელოვნების სექციები. ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, მასობრივი სპორტის განვითარება, სასპორტო სკოლის მოსწავლეთათვის შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.

### 3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურის დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას და ამ სფეროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

### 3.2.1 კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ – კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვანებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები.

### 3.2.2 კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02)

### 3.2.3 სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამა გულისხმობას ა(ა)იპ – სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებას. ორგანიზაცია აერთიანებს სამუსიკო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ბიბლიოთეკებს, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, გიორგი ძიგვაშვილისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმებს, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს. ქვეპროგრამის მიზანია მიეცეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაბამისი საფეხურისა და სახელოვნებო პროფილის განათლება, ხელი შეუწყოს პიროვნების ინდივიდუალურ შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით შენარჩუნებას. ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულ მოსწავლეებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასდა ამ გზით მის შენარჩუნებას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. ხელი შეუწყოს ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარებას, მივიწყებული, ტრადიციულიდარგების აღორძინებას, ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობას. უზრუნველყოფს ყოფიდან გამქრალი, მიტოვებული ფოლკლორის ნიმუშების გაცოცხლებას, აღდგენასა და კვლავ ხალხისათვის უკან დაბრუნებას. სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით, შეიძინოს ან შემოწირულობა – საჩუქრის სახით, შეკრიბოს ნივთები, კულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტალური, ეთნოგრაფიული მასალები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ფოტოები და სხვა. ფართო საზოგადოებას გააცნოს სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაცული ხელოვნების ნიმუშები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს ყველა ასაკის მკითხველი საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურებით. იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნგაცვლითი ურთიერთობის დამყარებაზე.

### 3.3 ახალგაზრდული, კულტურული და ტურიზმის ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ახალგაზრდებისთვის გასართობი, შემეცნებითი და სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

### 3.4 ეპარქიის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა.

### 3.5 ტურიზმის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრის დაფინანსება.

## 4. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პარალელურად, ვანის მუნიციპალიტეტი კვლავ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარებების მიწოდებას მოსახლეობისთვის. ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ დაცვას.

### 4.1 ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა გულისხმობს ქვეპროგრამების, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და ჯანდაცვის სფეროს ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის დაფინანსებას.

#### 4.1.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით ა(ა)იპ ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებას, რომელიც უზრუნველყოფს: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლის ღონისძიებებს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და განხორციელებას, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფას, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლას და დადგენას, პრევენციულ და კონტროლის ღონისძიებებს, პარაზიტული დაავადებების პირველად კვლევას, დაავადებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკურ მკურნალობას, სანიტარულ ღონისძიებებს, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობას და ხელშეწყობას.

#### 4.1.2 ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ვანის მუნიციპალიტეტის სასწრაფიო სამედიცინო ცენტრის ეზოს კეთილმოწყობასა და შენობის სეპტიკის მოწყობის სამუშაოების დაფინანსებას.

### 4.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**4.2.1 მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფას.

**4.2.2 სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ა) გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის დახმარება 500 ლარის ოდენობით; ბ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ოჯახის დახმარება 250 ლარის ოდენობით. გ) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-100000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის ოჯახის დახმარება 500 ლარის ოდენობით; დ) ჩერნობილის ავარიის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში 500 ლარის ოდენობით.

**4.2.3 ახალშობილთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 350 ლარის, მესამეზე 400, მეოთხეზე და ყოველ მომდევნოზე მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის, ხოლო ტყუპების შეძენისას თითოეულ ახალშობილზე 500 ლარის ოდენობით. თუ ახალშობილის ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 1-დან 70 000-მდე, მაშინ მისაღები ფინანსური დახმარების მოცულობა გაიზრდება 20 %-ით.

**4.2.4 სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, მლიერი ქარი) დაზარალდნენ. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარისა, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №2367 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით სამშენებლო მასალების გადაცემით დახმარება გაეწევა სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას.

**4.2.5 სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ღირებულების თანადაფინანსება. დახმარების მოცულობა განისაზღვრება 750-ლარიანი ლიმიტით, პაციენტმა შეიძლება ისარგებლოს წლის განმავლობაში ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე შემდეგ შემთხვევაში: ა) მოქალაქეებმა, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-დან-70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; ბ)18 წლამდე ასაკის ბავშვებმა, რომელთა სარეიტინგო ქულაა 1-დან 100 000-ის ჩათვლით; გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები; გ) ონკოლოგიური (მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პაციენტებმა; დ) გულის დაავადებათა მქონე პაციენტებმა; ე) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებულებმა.

სხვა დანარჩენი კატეგორიის მოქალექეების დაფინანსება განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50 %-ის და არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით. პროგრამა არ ითვალისწინებს იმ პეციენტების დაფინანსებას, რომელთაც გადახდილი აქვთ სამედიცინო მომსახურების თანხა და კლინიკაში დავალიანება არ ერიცხებათ, ასევე იმ პაციენტების დაფინანსებას, რომელთაც გადასახდელი აქვთ 200 ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხა.

**4.2.6 დიალიზის პროგრამაშიჩართულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარების ტრანსპორტის ხარჯის შემცირების მიზნით ყოველთვიური ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით.

### 4.2.7 საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა 500 ლარის ოდენობით. და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები) ვეტერანთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 300 ლარის ოდენობით.

### 4.2.8 ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 18 წლამდე ასაკის არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით დაავადებულ ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიურად დახმარების გაწევა 200 ლარის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით.

### 4.2.9 დღეგრძელთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასი და მეტი წლის უხუცესთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა, თითოეულ ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით.

### 4.2.10 მეორე მსოფლიო ომისა და ჩერნობილის ავარიის მონაწილეთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 9 მაისს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის 500 ლარის, ჩერნობილის ტრაგედიის თარიღთან დაკავშირებით სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის 300 ლარის და 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთათვის 500 ლარის ოდენობით ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა.

### 4.2.11 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა – თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

### 4.2.12 მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა: ა) სოციალურად დაუცველ მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ამავე დროს რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-მდე სარეიტინგო ქულა, ერთ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით; ბ) მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით; გ) დედ-მამით ობლებს, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით.

### 4.2.13 სხვა სოციალური ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების დღის ცენტრის ფინანსური მხარდაჭერა.

### 4.2.14 სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში ერჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სტუდენტებს, რომელთა ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და სარეიტინგო ქულა აქვთ 1-დან -100000-ჩათვლით. დახმარების მოცულობა განისაზღვრება თითოეულ სტუდენტზე 500 ლარის ოდენობით. დახმარებით ასევე ისარგებლებენ პირველი ჯგუფის ინვალიდი სტუდენტები, მიუხედავად სარეიტინგო ქულისა, 1000 ლარის ოდენობით.

**4.2.15 მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 15)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით.

**4.2.16 ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 16)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

**4.2.17 უსახლკაროთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 17)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის" საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფას. ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - არაუმეტეს 100 (ასი) ლარი თვეში; ბ) მთისძირის, შუამთის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, დიხაშხოს, ბზვანის, ამაღლების, ზეინდრის, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარი თვეში; გ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, ძულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 60 (სამოცი) ლარი თვეში.

**5. თავდაცვა**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზებას და მათი გაწვევის პუნქტებამდე გადაყვანას.

**5.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზებას და მათი გაწვევის პუნქტებამდე გადაყვანას.

**მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**
განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები 13367,1 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| | | 2017 წლის ფაქტი | | 2018 წლის ფაქტი | | 2019 წლის გეგმა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | მათ შორის | | მათ შორის |

| კოდი | საბიუჯეტო პროგრამა | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუ-თარი შემო-სავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუ-თარი შემო-სავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ვანის მუნიციპალიტეტი | 11,192.5 | 4,375.5 | 6,817.0 | 13,338.0 | 6,406.5 | 6,931.5 | 13,367.1 | 5,618.8 | 7,748.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 145.0 | 7.0 | 138.0 | 169.0 | 7.0 | 162.0 | 169.0 | 7.0 | 162.0 |
| | ხარჯები | 5,779.3 | 558.5 | 5,220.8 | 6,350.6 | 372.1 | 5,978.5 | 6,743.2 | 299.4 | 6,443.8 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,432.3 | 57.8 | 1,374.5 | 1,726.0 | 56.5 | 1,669.5 | 1,844.0 | 67.0 | 1,777.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,374.8 | 3,813.2 | 1,561.6 | 6,987.4 | 6,034.4 | 953.0 | 6,623.9 | 5,319.4 | 1,304.5 |
| | ვალდებულებების კლება | 38.4 | 3.8 | 34.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები | 2,040.0 | 0.0 | 2,040.0 | 2,427.2 | 0.0 | 2,427.2 | 2,593.0 | 0.0 | 2,593.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 138.0 | 0.0 | 138.0 | 162.0 | 0.0 | 162.0 | 162.0 | 0.0 | 162.0 |
| | ხარჯები | 2,009.3 | 0.0 | 2,009.3 | 2,404.5 | 0.0 | 2,404.5 | 2,550.9 | 0.0 | 2,550.9 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,374.5 | 0.0 | 1,374.5 | 1,668.0 | 0.0 | 1,668.0 | 1,775.0 | 0.0 | 1,775.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 26.9 | 0.0 | 26.9 | 22.7 | 0.0 | 22.7 | 42.1 | 0.0 | 42.1 |
| | ვალდებულებების კლება | 3.8 | 0.0 | 3.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 580.3 | 0.0 | 580.3 | 701.7 | 0.0 | 701.7 | 746.7 | 0.0 | 746.7 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 28.0 | | 28.0 | 33.0 | | 33.0 | 33.0 | | 33.0 |
| | ხარჯები | 577.8 | 0.0 | 577.8 | 699.5 | 0.0 | 699.5 | 726.7 | 0.0 | 726.7 |
| | შრომის ანაზღაურება | 387.5 | 0.0 | 387.5 | 489.4 | 0.0 | 489.4 | 510.0 | 0.0 | 510.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.5 | 0.0 | 2.5 | 2.2 | 0.0 | 2.2 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 1,456.6 | 0.0 | 1,456.6 | 1,725.5 | 0.0 | 1,725.5 | 1,746.3 | 0.0 | 1,746.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 110.0 | | 110.0 | 129.0 | | 129.0 | 129.0 | | 129.0 |
| | ხარჯები | 1,431.5 | 0.0 | 1,431.5 | 1,705.0 | 0.0 | 1,705.0 | 1,724.2 | 0.0 | 1,724.2 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 987.0 | 0.0 | 987.0 | 1,178.6 | 0.0 | 1,178.6 | 1,265.0 | 0.0 | 1,265.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 24.4 | 0.0 | 24.4 | 20.5 | 0.0 | 20.5 | 22.1 | 0.0 | 22.1 |
| | ვალდებულებების კლება | 0.7 | 0.0 | 0.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 01 04 | დავალიანების დაფარვის ფონდი | 3.1 | 0.0 | 3.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 3.1 | 0.0 | 3.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 00 | თავდაცვა | 78.0 | 78.0 | 0.0 | 83.0 | 79.5 | 3.5 | 99.0 | 80.0 | 19.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 7.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 77.7 | 77.7 | 0.0 | 81.8 | 79.5 | 2.3 | 99.0 | 80.0 | 19.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 57.8 | 57.8 | 0.0 | 58.0 | 56.5 | 1.5 | 69.0 | 67.0 | 2.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.2 | 0.0 | 1.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.3 | 0.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 01 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 78.0 | 78.0 | 0.0 | 83.0 | 79.5 | 3.5 | 99.0 | 80.0 | 19.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 7.0 | 7.0 | | 7.0 | 7.0 | | 7.0 | 7.0 | |
| | ხარჯები | 77.7 | 77.7 | 0.0 | 81.8 | 79.5 | 2.3 | 99.0 | 80.0 | 19.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 57.8 | 57.8 | 0.0 | 58.0 | 56.5 | 1.5 | 69.0 | 67.0 | 2.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.2 | 0.0 | 1.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.3 | 0.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 5,330.6 | 3,595.2 | 1,735.4 | 7,286.5 | 5,917.2 | 1,369.3 | 6,959.8 | 5,352.7 | 1,607.1 |
| | ხარჯები | 952.2 | 414.8 | 537.4 | 650.9 | 107.6 | 543.3 | 602.8 | 67.8 | 535.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,344.9 | 3,176.9 | 1,168.0 | 6,635.6 | 5,809.6 | 826.0 | 6,357.0 | 5,284.9 | 1,072.1 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ვალდებულებების კლება | 33.5 | 3.5 | 30.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 | გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა | 3,912.4 | 2,835.6 | 1,076.8 | 6,320.1 | 5,521.8 | 798.3 | 6,017.1 | 5,055.3 | 961.8 |
| | ხარჯები | 278.9 | 237.5 | 41.4 | 58.1 | 25.2 | 32.9 | 27.7 | 27.7 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,633.5 | 2,598.1 | 1,035.4 | 6,262.0 | 5,496.6 | 765.4 | 5,989.4 | 5,027.6 | 961.8 |
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 820.2 | 243.8 | 576.4 | 689.5 | 156.0 | 533.5 | 740.0 | 176.4 | 563.6 |
| | ხარჯები | 586.0 | 90.2 | 495.8 | 546.2 | 40.4 | 505.8 | 536.9 | 1.9 | 535.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 204.2 | 153.6 | 50.6 | 143.3 | 115.6 | 27.7 | 203.1 | 174.5 | 28.6 |
| | ვალდებულებების კლება | 30.0 | 0.0 | 30.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 01 | სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 243.8 | 243.8 | 0.0 | 156.0 | 156.0 | 0.0 | 176.4 | 176.4 | 0.0 |
| | ხარჯები | 90.2 | 90.2 | 0.0 | 40.4 | 40.4 | 0.0 | 1.9 | 1.9 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 153.6 | 153.6 | 0.0 | 115.6 | 115.6 | 0.0 | 174.5 | 174.5 | 0.0 |
| 03 02 02 | დასუფთავების ღონისძიებები | 425.7 | 0.0 | 425.7 | 402.7 | 0.0 | 402.7 | 425.0 | 0.0 | 425.0 |
| | ხარჯები | 387.0 | 0.0 | 387.0 | 402.7 | 0.0 | 402.7 | 425.0 | 0.0 | 425.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.7 | 0.0 | 8.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 30.0 | 0.0 | 30.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 03 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 14.1 | 0.0 | 14.1 | 2.5 | 0.0 | 2.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 14.1 | 0.0 | 14.1 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 2.3 | 0.0 | 2.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 04 | გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 136.6 | 0.0 | 136.6 | 128.3 | 0.0 | 128.3 | 138.6 | 0.0 | 138.6 |
| | ხარჯები | 94.7 | 0.0 | 94.7 | 102.9 | 0.0 | 102.9 | 110.0 | 0.0 | 110.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 41.9 | 0.0 | 41.9 | 25.4 | 0.0 | 25.4 | 28.6 | 0.0 | 28.6 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 03 | ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა | 305.7 | 223.5 | 82.2 | 228.7 | 191.2 | 37.5 | 195.7 | 114.0 | 81.7 |
| | ხარჯები | 13.0 | 12.8 | 0.2 | 4.7 | 0.1 | 4.6 | 38.2 | 38.2 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 292.7 | 210.7 | 82.0 | 224.0 | 191.1 | 32.9 | 157.5 | 75.8 | 81.7 |
| 03 04 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 292.3 | 292.3 | 0.0 | 48.2 | 48.2 | 0.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 74.3 | 74.3 | 0.0 | 41.9 | 41.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 214.5 | 214.5 | 0.0 | 6.3 | 6.3 | 0.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 3.5 | 3.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 00 | განათლება | 1,788.4 | 581.8 | 1,206.6 | 1,241.8 | 106.5 | 1,135.3 | 1,385.2 | 34.5 | 1,350.7 |
| | ხარჯები | 888.1 | 0.0 | 888.1 | 1,108.2 | 0.0 | 1,108.2 | 1,275.0 | 0.0 | 1,275.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 900.3 | 581.8 | 318.5 | 133.6 | 106.5 | 27.1 | 110.2 | 34.5 | 75.7 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 904.7 | 0.0 | 904.7 | 1,111.7 | 0.0 | 1,111.7 | 1,280.0 | 0.0 | 1,280.0 |
| | ხარჯები | 886.8 | 0.0 | 886.8 | 1,108.2 | 0.0 | 1,108.2 | 1,275.0 | 0.0 | 1,275.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 17.9 | 0.0 | 17.9 | 3.5 | 0.0 | 3.5 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია | 883.7 | 581.8 | 301.9 | 130.1 | 106.5 | 23.6 | 105.2 | 34.5 | 70.7 |
| | ხარჯები | 1.3 | 0.0 | 1.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 882.4 | 581.8 | 300.6 | 130.1 | 106.5 | 23.6 | 105.2 | 34.5 | 70.7 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1,191.5 | 54.5 | 1,137.0 | 1,304.0 | 0.0 | 1,304.0 | 1,470.0 | 0.0 | 1,470.0 |
| | ხარჯები | 1,088.5 | 0.0 | 1,088.5 | 1,235.1 | 0.0 | 1,235.1 | 1,386.9 | 0.0 | 1,386.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 102.2 | 54.5 | 47.7 | 68.9 | 0.0 | 68.9 | 83.1 | 0.0 | 83.1 |
| | ვალდებულებების კლება | 0.8 | 0.0 | 0.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 425.5 | 0.0 | 425.5 | 548.4 | 0.0 | 548.4 | 536.7 | 0.0 | 536.7 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 409.2 | 0.0 | 409.2 | 490.1 | 0.0 | 490.1 | 510.0 | 0.0 | 510.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 16.3 | 0.0 | 16.3 | 58.3 | 0.0 | 58.3 | 26.7 | 0.0 | 26.7 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 4.7 | 0.0 | 4.7 | 11.7 | 0.0 | 11.7 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| | ხარჯები | 4.7 | 0.0 | 4.7 | 11.7 | 0.0 | 11.7 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| 05 01 02 | სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანება | 41.0 | 0.0 | 41.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 41.0 | 0.0 | 41.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 04 | სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია | 9.4 | 0.0 | 9.4 | 52.8 | 0.0 | 52.8 | 26.7 | 0.0 | 26.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9.4 | 0.0 | 9.4 | 52.8 | 0.0 | 52.8 | 26.7 | 0.0 | 26.7 |
| 05 01 05 | სარაგბო კლუბი ვანის აიეტი | 70.0 | 0.0 | 70.0 | 128.0 | 0.0 | 128.0 | 135.0 | 0.0 | 135.0 |
| | ხარჯები | 67.2 | 0.0 | 67.2 | 125.1 | 0.0 | 125.1 | 135.0 | 0.0 | 135.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.8 | 0.0 | 2.8 | 2.9 | 0.0 | 2.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 06 | სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება | 300.4 | 0.0 | 300.4 | 355.9 | 0.0 | 355.9 | 365.0 | 0.0 | 365.0 |
| | ხარჯები | 296.3 | 0.0 | 296.3 | 353.3 | 0.0 | 353.3 | 365.0 | 0.0 | 365.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.1 | 0.0 | 4.1 | 2.6 | 0.0 | 2.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 677.5 | 54.5 | 623.0 | 650.8 | 0.0 | 650.8 | 747.1 | 0.0 | 747.1 |
| | ხარჯები | 591.6 | 0.0 | 591.6 | 643.8 | 0.0 | 643.8 | 694.0 | 0.0 | 694.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 85.9 | 54.5 | 31.4 | 7.0 | 0.0 | 7.0 | 53.1 | 0.0 | 53.1 |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი | 329.4 | 0.0 | 329.4 | 327.4 | 0.0 | 327.4 | 375.0 | 0.0 | 375.0 |
| | ხარჯები | 326.4 | 0.0 | 326.4 | 324.4 | 0.0 | 324.4 | 375.0 | 0.0 | 375.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 02 | კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია | 87.5 | 54.5 | 33.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 52.1 | 0.0 | 52.1 |
| | ხარჯები | 4.8 | 0.0 | 4.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 82.7 | 54.5 | 28.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 52.1 | 0.0 | 52.1 |
| 05 02 03 | სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი | 260.6 | 0.0 | 260.6 | 323.4 | 0.0 | 323.4 | 320.0 | 0.0 | 320.0 |
| | ხარჯები | 260.4 | 0.0 | 260.4 | 319.4 | 0.0 | 319.4 | 319.0 | 0.0 | 319.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.2 | 0.0 | 0.2 | 4.0 | 0.0 | 4.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 |
| 05 03 | ახალგაზრდული, კულტურული და ტურიზმის ღონისძიებების ხელშეწყობა | 38.5 | 0.0 | 38.5 | 29.1 | 0.0 | 29.1 | 31.2 | 0.0 | 31.2 |
| | ხარჯები | 37.7 | 0.0 | 37.7 | 29.1 | 0.0 | 29.1 | 31.2 | 0.0 | 31.2 |
| | ვალდებულებების კლება | 0.8 | 0.0 | 0.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 04 | ეპარქიის მხარდაჭერა | 50.0 | 0.0 | 50.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| | ხარჯები | 50.0 | 0.0 | 50.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| 05 05 | ვანის ტურიზმის ცენტრი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.7 | 0.0 | 25.7 | 75.0 | 0.0 | 75.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 22.1 | 0.0 | 22.1 | 71.7 | 0.0 | 71.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.6 | 0.0 | 3.6 | 3.3 | 0.0 | 3.3 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 764.0 | 66.0 | 698.0 | 995.5 | 303.3 | 692.2 | 860.1 | 151.6 | 708.5 |
| | ხარჯები | 763.5 | 66.0 | 697.5 | 870.1 | 185.0 | 685.1 | 828.6 | 151.6 | 677.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.5 | 0.0 | 0.5 | 125.4 | 118.3 | 7.1 | 31.5 | 0.0 | 31.5 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები | 65.5 | 65.0 | 0.5 | 190.4 | 183.3 | 7.1 | 100.5 | 65.0 | 35.5 |
| | ხარჯები | 65.0 | 65.0 | 0.0 | 65.0 | 65.0 | 0.0 | 69.0 | 65.0 | 4.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.5 | 0.0 | 0.5 | 125.4 | 118.3 | 7.1 | 31.5 | 0.0 | 31.5 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | 65.0 | 65.0 | 0.0 | 65.0 | 65.0 | 0.0 | 69.0 | 65.0 | 4.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 65.0 | 65.0 | 0.0 | 65.0 | 65.0 | 0.0 | 69.0 | 65.0 | 4.0 |
| 06 01 02 | ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია | 0.5 | 0.0 | 0.5 | 125.4 | 118.3 | 7.1 | 31.5 | 0.0 | 31.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.5 | 0.0 | 0.5 | 125.4 | 118.3 | 7.1 | 31.5 | 0.0 | 31.5 |
| 06 02 | სოციალური პროგრამები | 698.5 | 1.0 | 697.5 | 805.1 | 120.0 | 685.1 | 759.6 | 86.6 | 673.0 |
| | ხარჯები | 698.5 | 1.0 | 697.5 | 805.1 | 120.0 | 685.1 | 759.6 | 86.6 | 673.0 |
| 06 02 01 | მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა | 21.4 | 0.0 | 21.4 | 21.0 | 0.0 | 21.0 | 33.0 | 0.0 | 33.0 |
| | ხარჯები | 21.4 | 0.0 | 21.4 | 21.0 | 0.0 | 21.0 | 33.0 | 0.0 | 33.0 |
| 06 02 02 | სარიტუალო დახმარება | 39.7 | 1.0 | 38.7 | 32.0 | 0.0 | 32.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | ხარჯები | 39.7 | 1.0 | 38.7 | 32.0 | 0.0 | 32.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| 06 02 03 | ახალშობილთა ოჯახების დახმარება | 113.4 | 0.0 | 113.4 | 106.0 | 0.0 | 106.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | ხარჯები | 113.4 | 0.0 | 113.4 | 106.0 | 0.0 | 106.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 06 02 04 | სტიქიით დაზარალებულთა დახმარება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 154.8 | 120.0 | 34.8 | 126.6 | 86.6 | 40.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 154.8 | 120.0 | 34.8 | 126.6 | 86.6 | 40.0 |
| 06 02 05 | სამედიცინო დახმარება | 242.4 | 0.0 | 242.4 | 244.1 | 0.0 | 244.1 | 250.0 | 0.0 | 250.0 |
| | ხარჯები | 242.4 | 0.0 | 242.4 | 244.1 | 0.0 | 244.1 | 250.0 | 0.0 | 250.0 |
| 06 02 06 | დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება | 42.2 | 0.0 | 42.2 | 38.8 | 0.0 | 38.8 | 41.0 | 0.0 | 41.0 |
| | ხარჯები | 42.2 | 0.0 | 42.2 | 38.8 | 0.0 | 38.8 | 41.0 | 0.0 | 41.0 |
| 06 02 07 | საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე სოციალურად დაუცველ ვეტერანთა დახმარება | 6.0 | 0.0 | 6.0 | 9.7 | 0.0 | 9.7 | 11.0 | 0.0 | 11.0 |
| | ხარჯები | 6.0 | 0.0 | 6.0 | 9.7 | 0.0 | 9.7 | 11.0 | 0.0 | 11.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 08 | ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა ოჯახების დახმარება | 34.0 | 0.0 | 34.0 | 71.9 | 0.0 | 71.9 | 34.0 | 0.0 | 34.0 |
| | ხარჯები | 34.0 | 0.0 | 34.0 | 71.9 | 0.0 | 71.9 | 34.0 | 0.0 | 34.0 |
| 06 02 09 | დღეგრძელთა დახმარება | 9.0 | 0.0 | 9.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 |
| | ხარჯები | 9.0 | 0.0 | 9.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 |
| 06 02 10 | მეორე მსოფლიო ომისა და ჩერნობილის ავარიის მონაწილეთა დახმარება | 7.0 | 0.0 | 7.0 | 6.7 | 0.0 | 6.7 | 6.0 | 0.0 | 6.0 |
| | ხარჯები | 7.0 | 0.0 | 7.0 | 6.7 | 0.0 | 6.7 | 6.0 | 0.0 | 6.0 |
| 06 02 11 | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება | 25.5 | 0.0 | 25.5 | 21.5 | 0.0 | 21.5 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | ხარჯები | 25.5 | 0.0 | 25.5 | 21.5 | 0.0 | 21.5 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| 06 02 12 | მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება | 10.6 | 0.0 | 10.6 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | ხარჯები | 10.6 | 0.0 | 10.6 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| 06 02 13 | სხვა სოციალური ღონისძიებები | 110.2 | 0.0 | 110.2 | 59.1 | 0.0 | 59.1 | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| | ხარჯები | 110.2 | 0.0 | 110.2 | 59.1 | 0.0 | 59.1 | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| 06 02 14 | სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარება | 4.0 | 0.0 | 4.0 | 14.5 | 0.0 | 14.5 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| | ხარჯები | 4.0 | 0.0 | 4.0 | 14.5 | 0.0 | 14.5 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| 06 02 15 | მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება | 33.1 | 0.0 | 33.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| | ხარჯები | 33.1 | 0.0 | 33.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| 06 02 16 | ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| 06 02 17 | უსახლკაროთა დახმარება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |